

## შუპია აზრისონი

### ხმაჩაქვითი ჯმიერის სტრუქტურისა და მართლზერის საკითხები ჩართულზე\*

ხ მ ა ბ ა ძ ვ ი თ ი ს ი რ ყ ვ ე ბ ი ს სახელით ცნობილ ონომატო-  
ჰორტურ ლექსიკისთან დაგავშემუშაოთ ისმის ორი საფიცხი: ერთ  
მხრივ, ნომინაციის პრინციპისა და, მეორე მხრივ, საკუთარი და ნა-  
სესხები ლექსიკის ურთიერთმინართებისა.

სახელდების ფუნდამენტური პრობლემა, ფილსერისების ჭიდოლ-  
ში რომ ისიანა, თესეის სასაჩვებლოდ, ე. ი. ენობრივი ნიშნის ნე-  
ბისმიერობის (პირობითობის) სასაჩვებლოდ გადაწყდა, — და გადა-  
წყდა ხაბოლობდ. ფილსეის იდეა კი დღესდღეობით თუ ცოცხლობის, —  
მხოლოდ პერიფერიული ლექსიკის მასალის ხარჯზე. ამ მისაღაბი,  
უწინარეს ყოვლისა, ხმაბაქვით სიტყვები ივარაუდება, რამდენადაც  
უგელაზე მეტად სწორედ ისინი „ჰეგენან“, თუ შეიძლება ასე ითვეს,  
აღსანიშნას, და ამ ინფორმაციას თვით ტერმინიც გვაწვდის. ხ მ ა ბ ა-  
ძ ვ ი ანუ იმიტაცია სწორედ ამ მსგავსების პირობით ხარისხზე მი-  
გვაინიშნება, თორებ თვისითავდა მსგავსება, როგორც თბიერტური  
მოვლენა, ფაქტი, ამ მომენტს, ცხადია, არ გულისხმობს, ანდა —  
უფრო ზუსტად — აუცილებლობით არ გულისხმობს.

მაგრამ საფიცხის თუნდაც მგვერი დაყენება ვერ გვაზღვევს მი  
პარადოქსისგან, რომლითაც იმთავითვე დამტესტული ონომატომო-  
ტური ლექსიკა ყოველ ენაში და, მათ შორის, ქართულშიც. რაში  
მდგომარეობს ეს პარადოქსი?

ერთი მხრივ, ტერმინში ასახული იმიტაციური ბუნების გამო  
მოსალოდნელია ეს ლექსიკა მაქსიმალური ისტერნაციონალურობით  
გამოიჩინდეს: სახელდება ძირითადად ხმის გამომცემ მოძრაობებსა  
და მათს წყიორსოთანა დაკავშირებული, რომლებიც a priori თითქოს  
ერთხაირად უნდა გვესმოდეს თუ გვეჩენებოდეს სხვადასხვა ენაზე  
მოლაპარაკეთ.

\* წაკითხულია 1990 წ. 8 იანვარს თბილისის სახ. უნივერსიტეტში ფად.  
3. თოფურისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

შაგრამ როგორც აღმოჩნდა, ონომატოპოეტური შესვერტები სხვადასხვა ენაში იშვიათი დამთხვევის ფარგლებს ვერ სცილდება (ზაგ., ვე-ვუ! — კუ-კუ! აქედან: ვუგული — კუკუშკა). ამტკიშ მას მსავალებასაც ჩეკერი (თუ რევეის) ფართო ამბლიტუდა აქვს, რაც „სიმძოლურად“ შეიძლებოდა ასე შემოგვევარება: წიწილების მო-სახმობიდან (წიპა-წიპა! აქედან: წიწილა, შდრ. რუსული ცაპ-ცაპ! და აქედან: ცაპლენი) მამლის ყივილამდე (ყიყლიყო! შდრ. რუ. კუკარეკი!).

შეორე მხრივ: ფაქტობრივ ყაველ ენაში საეჭარი ლექსიკის დიდ ნაწილს ციტორედ ხშაბაძვითი სიტყვები წარმოადგენს. ნასესხობებში ამ ლექსიკის ხვედრი გაცილებით ნაკლებია.

ხშაბაძვითი სიტყვების სტრუქტურული მოდელების მრავალფრ-ოვნების მოუხედავად, ბევრაომბლექსიები, თანხმოვებით და ხმო-ვანთა კომბინაციები და თანხმომდევრობა კანონზომიერ სურათ ქმნის, რის გამოც ხშირად თუთ უცნობ ერთეულსაც კი არა მარტო შეობლიურად აღვიტვით, არამედ — ამივე გზით — თითქმის შაქსი-მალური სისტესტითაც ამოვიცნობთ მის მნიშვნელობას!

ხშაბაძვითი სიტყვების ძირითად მიხილა მისის ე. წ. „პირველი მა-დარები“<sup>2</sup> წარმოადგენს, რომელმაც ეყრდნობა მედიოურიული

---

თურცა მიბაძვა ონომატოპოეტური ლექსიკის ფოთ ნაწილის საფუძველია, ტერმინად მისი ხმარება ზინც პირობითია და შეიძლება ნივარნახვი იყოს სა-ეჭარი, ანანსესტეზი ტრიმინას შენიშვნობის სურეილით (თვით კომპიტიტა ტაბაძეაც კალგირებულის). უფრო რეალური ზონარსის ასხვა იქნებოდა მითოგის ინტენსივობის გამოწხატებით ლექსიკა, ე. წ. ან ტენსივები ვე- წოდებინა.

1 ე უადგილო არ იქნებოდა იმ ლინგვისტური ანკულტურის გასხვები, რო-ჟილშიც დაწურებულია (ქართველის პიშიციიდან) რუსული სიტყვების ყუშა-სა და ვორინე-ს თოჯოსდა შეუფერებელი მიმართება ალსანიშნისა და ერთმანეთი-საღმი (ზომბა-ხილიდან თვლისაბრინით). ამგვარ ინტერესურაციას გარებად გამოხა-ტებს ამ რუსული სიტყვების თანმისლება რიტმი და ინტონაციაც: ყუშა სიტყვის მიკლელ და წერტილ ხმაზე (მოლოდ ჭინით) წარმოოქმნა ალსანიშნი საფნო-ვითად აღმეს აღმასტურებს (შდრ. პუწია, პუსკა; შეგრ. აკაბუცხა = ერთი ჰეჭო, ხოლო ვორინე სიტყვისა — ა ბჟერის ძლიერი ვიბრირებით და დაბალ ხშაბე წარმოოქმნა საპირისპირო ც. ი. დიდთან, მაგ., ზარბაზანთან) ასოცია-ციის ქვეცნობიერი გამომხატველია.

მაშაადამე, უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულებია ასოციაციური აღმეს საფუძველი ისე შრობლეულ, დედანისე დამყარებულ განწყობაშია საფარისულე-ბელი.

2 ტერმინი პერფენის არნ. ზიქობაკას. ი. შილ: ქართული ენის ზოგადი დახისითავება: ქაგლ, I, 1950, გვ. 075.

ზმენები, -ებ და -ობ-თემისნიშნიანები: ჰიყვირი>ჰიყვიუებს, ბარბაცი> ბარბაცებს... ზარიშური>ზარიშურობს, ბორძისი>ბორძისკობს...

ეს ტრიად სკელიფიცური წარმოება, თუ ვავითვლისტინგები  
იმას, რომ ზმინური ფორმები ქართულში, ჩვეულებრივ, ან ზმის ძი-  
რისაგან იწარმოება, ანდა — სახელისაგან. ჩვეულებრივი მასდარები  
ზმინურ პარადიგმებს ან აწარმოებს.

ონობატობის უმცირესი შენების სტრუქტურა მეტ-ნაკლები სისუსტითა და დეტალზაკით შესწავლილია გ. ლეიტერსის, ა. შენიძის, ფ. ნაისერის, კ. თოფურიას, ს. კლენტის, ფ. ერთოლაშვილის, ბ. ფოჩხვას, ლ. სანიკიძისა და სხვათა ნაშრომებში<sup>3</sup>. განსაკუთრებით ეს ეხება რედუქციურის გზით მიღებულ სიტყვებს. ცალილებებში იგულისხმება: ნაყარი ფუქსის თავკოდური ან ბოლონიური თანხმოვნის ჩანაცვლება, ბროვანთა მონაცვლეობა, თანხმოვნის ჩავრცელება და მისთ.

აქ არ შევეხებით (ან შევეხებით მხოლოდ ზოგადად — შედარე. ბისათვის) ჭიკჭიკ, ხითხით, რახჩა... ჩურჩულ, ფარცატ, ბარბაც და მსგავსი სახის მასაღებებს.

ჩევნ გვაინტერესებს არარედუპლიკირებული ერთოულები, რომ-  
ლებიც ჩედუბლიცირებულს ემსვაგება ფუძის ბოლოვალური სონო-  
რების შემცველი კომპლექსებით. შემ.: გუგუნი — ბრაგუნი, ბრა-  
ხუნი...; ყიყანი — ქვათინი, სლიბინი...; კურკური — ფათური...; ქა-  
ჭანი — ბრაგვანი, ტყაბანი... და ა. შ.

გარდა სონორებისა, ყურადღებას იქცევს ხმოვანთა საკორტეიტ, სახელმომართო, ბოლოებური სონორის წანამავალი ხმოვნისა და, ხა- ერთოდ, მეგვარ მასდარულ ფორმებში ხმოვნების თანამიმღევრობის საკორტე:

შასტართა ოუსლაუტში სონორთაგან ყველაზე ხშირა 6, შემდეგ  
რ და ს: ლაწანი, ტყაპანი.. ჩლიფინი, ქვითინი... სლუჯნი, გრუხუ-  
ნი...; ფათური, ცმაცური...; ფართხალი, ფანკალი... ვორხილი...

<sup>3</sup> G. Deeters, Armenisch und Südcaucasisch: *Caucasica*, 1927, № 4; ə. Ե. Տաճարյան, յարտցանց գլուխության եղանակների մասին, I, ռժ., 1953; F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung: Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, XXXI, 2, Wiesbaden, 1953; Յ. Ռուբենյան, յարտցանց պատճենագիրը, VI. յամանեմիք: յեմ, I, 1959; և. շրջանակության վեհականության պատճենագիրը, I, ռժ., 1960; Յ. Վ. Մանուկյան, Կամաց արդարացնելու պատճենագիրը, Արդարացնելու պատճենագիրը, ռժ., 1970; Յ. Վ. Մանուկյան, Կամաց արդարացնելու պատճենագիրը, Արդարացնելու պատճենագիրը, ռժ., 1974; Ա. Տաճարյան, յարտցանց պատճենագիրը, Արդարացնելու պատճենագիրը, III, ռժ., 1976; Հ. Շահ Շահով, Կամաց արդարացնելու պատճենագիրը, Արդարացնելու պատճենագիրը, ռժ., 1990 և այլ.

რაც შეეხება ხმოვნებს, აუსლაუტში უხშირესია ა და მაღალი იწყეულობის ხმოვნებით ა და უ. შეა საფეხურზე მდგომა ე და თ თა-  
თქმის არ გვხვდება. ო დასტურობება ფაქტობრივ მხოლოდ ჩეტა-  
პლიცირებულ სიტყვებში (რომელი, ხორხოცა...) და, როგორც  
ფ. ერთეულიშვილი აღნიშნავს, სამშარსულიან -იალ-დაბოლოებიან  
მასდარებში (ჩოჩალი, ხოხიალი, ბოდიალი და მისთ).<sup>4</sup>

ინტერესს იწვევს აგრძელებული თანხმოვანთა და ხმოვანთა თანამიმ-  
დევრობი. ზემოთიც აღვნიშნეთ წინამორბედი შკვლევრების შეერ კომ-  
პლექსების დახასიათება თანხმოვების რაგვარობის მიხედვით (ჩეუ-  
ლი, სონორი, ნამრალოვანი). მაგრამ ამგვარი კვლევის გაგრძელება  
უნდა იყოს, ჩვენი აზრით, არა ისრუო თანხმოვების თანამიმდევრობის  
ძიებაც წარმოსუმის აღვილის გათვალისწინებით. მაგ., რაკუნი, ბრა-  
გუნა, ბრახუნი, ბრავვანი, ბრახუნი, პაკუნი, პრაკუნი და სხვ. მო-  
წმობს იმის, რომ რ სონორი ან ლაბალური ბ უსწრებს ველარულ  
გ. კ თანხმოვებს ან ფარინგალურ ს-ს და არა პირუკე. მაგრამ იგივე  
თანხმოვნები (ხ. კ. ჭ.) აფრიკატების მომდევნოდ (პარმონიულ კომ-  
პლექსებში) ან მათი წემადგენელი წანენისმიერი (განსაკუთრებულ —  
დენტალების) თანხმოვების ან სიბრუნტეების შემდეგ ითავსებს გა-  
მოიშველი ხმოვნის მომდევნო რ სონორს. მაგ., წარუნი, თქარუნი,  
ჩხარუნი, უდარუნი და მისთ.

თანამიმდევრობანი შეიძლება შედარებით წეიტრალური, უფრო  
ზუსტად — ნაკლებ შეხელუდელი იყოს. ასეთია ველარული კ და სი-  
სინა სიბრუნტი სონორთან შეხებებაში. მაგ., სლუკუნი — კრუხუ-  
ნი... ანდა: რ სონორთან შეხამებისა ნ და ბ თავისუფლად უცელიან  
ერთმანეთს ადგილს: ხრიგინი — გრუხენი...

უკელა შემთხვევის ჩამოვლის ქ არ შევუდგებით, დავძენო კ და  
რომ სავირო თითოეული კომბინაციის დეტალური შესწავლი.

რაც შეეხება ხმოვანთა თანამიმდევრობას, გამოიყოფა შემდეგი  
შემთხვევები:

ა) მარცვლებში მეორდება ჰმოვნები: ა ი, და უ (ტყაპანი, რა-  
ხინი, ბუზღუნი);

ბ) ფრთიო ხმოვებს მოსდევს ვიწრო. უკელაზე ხშირია ა — უ  
თანამიმდევრობა: თქარუნი, რახუნი, ფათური...);

გ) შედარებით იშვიათიდ გვხედება თ — ი კომბინაცია, ე. ი. სა-  
შუალო იწყეულობიდან მაღლისაკენ და უკანა რიგიდან წინა რიგისა-  
კენ (ფორხელი; შდრ. ბორძიე, პოტიკი).

<sup>4</sup> ვ. ერთეული შეკვეთი, დახმ. ნაშტ., გვ. 88.

ე. წ. პარველაძი მასდარები მრავალი თვალსაზრისით არის სა-  
რცხურებული. შოლოლინი საწინაღმდეგოდ, -ან, -არ, -ალ ბოლოკიდური  
კომპლექსებით გაფორმებული მასდარები არ იკუმშება. მაგ., ბაბ-  
ნი — ბაბანისა (შდრ. საბანი — საბნისა), ფართხალი-  
სა (შდრ. ფორთოხალი — ფორთოხლისა; უფრო მოკლე სახე ლებში:  
მხხალი — მხხლისა, მხალი — მხლისა). მხოლოდ ჩედუბლივია რომ  
არ უნდა იყოს კუმშვის შემაჟავებელი ფაქტორი, იმას მოწმობს ან-  
ლოგიური რელუპლიცირებული სახელის კუმშვი (შდრ. კაკანი —  
კაკანისა და: კაკალი — კაკალისა).

უკუმშველობის შიზეზი მასდარების მიეროსისტემაშია სავარაუდე-  
ბელი და მას უნდა განსაზღვრავდეს შემოფარგლული სებანტურური  
კული და სპეციფიკური მორფოლოგიური და ფონემატური სტრუქ-  
ტურა პირველადი მასდარებიდა. -ან, -არ, -ალ და სხვათა ფუნქცია  
სიტყვაშარმოებით ფუნქციას უტოლდება და მთი შემცველი სიტ-  
ყვები უკუმშველი რჩება (შდრ. დერივაციული → სუფიქსის უკვე-  
ცლობა). ესეც არ იყოს, გაცილებით მეტია სხვა სტრუქტურის  
უკუმშველი მასდარები (-ინ, -უნ, -ილ, -ულ... კომპლექსებიანი, ან-  
და რაკრაკი, ხთხთთი ტაბისა, რომელთა კუმშვი გამორიცხულია).

კიდევ ერთი საგულისხმო თავისებურება საანალიზო მასდარე-  
ბისა: ყოველ მათგანს შეიძლება დერივაციული → სუფიქ-  
სი, რომელიც მას მსაზღვრელი ქვეცეს და კვეციაგან იცავს მათ:

5 საანალიზო მასდარებისაგან ზონური ფორმების წარმოების საფულისმნ  
ობისიცა იქნება: ერთპირანი ზმნის მეორე სეზის ფორმები, გამაცემური  
ნიშვნული შეიძლება ვაწარმოოთ როგორც შედიანეტიური ფორმით, ე. ი. ა-  
პრეფექსით, ისე ენგბითის → დ სუფიქსით. შდრ.: გაისრიალა — გასრიალ-  
და, ვაიზრიალა — ვაეზრიალა... ბარელ შემთხვევებში მოქვედების  
გრძლვობა უფრო ხელშესახება, მეტობე კი მომენტობრივი აქტეტი ჭრაბობს.  
შდრ. სევეც: გაიბზულა და დაიბზულა. აյ პარზიცაში ზმნისწინოთ სხვადასხვაოთ  
ზიც გრევა, თეტტა ვაღამწყვეტი მანც ზეგშეტი შეზეულის მონაწილეობა: ჩანს.  
ერთორიალი მოქმედების გამოსახატებად ძნელად კუმშვადი → ალ სუფიქსი შეკუჭმა:  
მონინტობრივი ასტეტის ხასიათსამელად, მაშინ როცა უწევებობის უზნების  
ფაზმოცემისას მან შეინიჩუნა ი ჩბოანი. სევორეცა: გა-ი-შეცოლა, გა-ი-წულოა და  
მით. (იხ. ჩევნი: უ მოვანე უკუმშვათავებელ ზნით უღლებასთან დაკავში-  
რებული ნირმატული საეთხები: აქ, XXVII, თბ., 1983, გვ. 192.

ანსთან დაკავშირებით დღის წესრიგში დღის ვათარების გარემოებად გამოყე-  
ნებულ ამგვარ მასდარებით სინტაქსანი ხმარებული ზმნების პარადგმების საკითხი.  
ზედაპირული დაკვირვებითაც და ურთელი ასტეტის ფორმები ჭარბობს, გან-  
საეფთრებით რეზუპლივიტისას (შდრ.: „ჩუსჩუნით გამოიტოლა“, „წერილ-წერილით  
გალოოდა“), გათრმავებასთან დაკვირვებით გვერდს კარ ფულით შრისლებულ-  
თა გამორჩებასაც, რაც ახალ ერთულს ყალბებს ის ახალ ელფერს სიცხს შო-  
რისცებულს (ჩევ: ტა, ტა, ტა, ტა! რაინდა ბრდვენავს არავი ხო, ხო, ხო, ხო!—  
ხემლების როგორ ეხეთქება ზოვა — შ მაჟარაიანი).

ტყეტიკ-ი> ტყეტიკ-ა (ნათ. ტყეტიკა-ხი), ბუხუნ-ი> ბუხუნ-ა (ნათ. ბუხუნა-ხი), კრიალ-ი> კრიალ-ა (ნათ. კრიალა-ხი) და მისთ. ამ -ას, ძისლა მიხედვით, თუ რომელ მეტყველების ნეშტის ან როგორ სახელს დაერთვის, სხვადასხვა ფუნქცია ემქებნება: მასუბსტანტიცებელი, ქონების ოღმინშვნელი, კნინობითობის მაწარმოებელი, მატოპონიმებელი და სხვ. აწყარია, რომ ე. წ. პირველადს მასდარებზე დართული -ა სუფიქსი მააღიერტიცებელია (ე. ი. ზედსართვის მაწარმოებელი) ან მაპარტიციპირებელი (ანუ მიმღეობის მაწარმოებელი) და ფუნქციურიად თათქმის იდენტურია ნაცარქექია ტიპის რთულ მიმღეობათა -ა მაწარმოებლისა. ამგვარ მიმღეობებთან ანალოგია მოიცავს კიდევ ორ ასპექტს:

1. პირველადს მასდარებზე დართული -ა სუფიქსი წარმოებულ მიმღეობების ოვალების მუდმივობას, პერმანენტულობის ანიჭებს, რაც, ცხადია, ასებითად მასდართა სემანტიციური პიშვნელობილიან გამომდინარეობს. მაგ., ბუხუნა — კინ საერთოდ ბუხუნებს, ეისაც სჩვევია ბუხუნი, ბუხუნით ლაპარაკი (საამისო განმარტებებისთვის ის. ქეგლ). ამგვარი მიმღეობები კარსებითებულია: შუშხუნა, ჭრიჭინა, წრუწუნა, წრიალა... ზოგი მათგანი კი საკუთარ სახელიდაც კი ქცეულია: ციალა.

თუ გვიშიარებთ ფ. ერთეულიშვილისეულ ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც ნაცარქექია ტიპის მიმღეობები მეორე ხოლმეობითისაგან მიღებულია მიჩნევა, ჩვენი საანალიზო მასდარებისაგან მარებული მიმღეობებიც ფუნქციურად ამ კომპონენტებს გაუტოლდება, რამდენადაც ხოლმეობითს უწინარესი ფუნქცია მრავალგზისობის აღნიშვნაა. როგორც ჩიტირება, მზეწვა, ისე ბოლოქანქალა, წეკაცუნა (=კადალი) და მარტივი ღრუტუნა, ჭრიჭინა, წრიალა... ერთიანდებიან ერთი საერთო ასპექტიობრივ-სემანტიციური ნიშნით — უწყვეტობით, პერმანენტულობით, მრევილგზისობით. ამიტომ -ა-დართული პირველადი მასდარები მიმღეობებიდან უნდა მივიჩნიოთ: ისინა გამოხატავენ მოქმედებას და მათ მოეპოვებათ აპექტი.

მსგავსება სხვაცაა: როგორც ნაცარქექია ტიპის, ისე ბუჭღუნა ტიპის მიმღეობები აუსლაბრის ცალკეულ ელემენტებიდ დაშლის გარეშე ემსგავსებიან კნინობით-საალერისო სახელთა დაბოლოებას. შედრ. ჩიტირება, ბელტყულაპია... ანდა მარტივი მიმღეობები: პრაპ. ჭია, მანჭია... და ზმუნური ანთროპონიმები: მინდია, ფიქრია..., ხოლო მეორე მხრივ: ზურია, გოგია, პეტრია, პავლია და სხვ.; შედრ. იგრეთვე: ბუჭღუნა და: დათუნა, თამუნა, ბიჯუნა...; ლაქუცა, ლლაბუცა და:

6 ფ. ერთეულიშვილი, ერთი ტიპის მიმღეობა ქართულში, თსუ შრ., 71, 1958, გვ. 253—259.

7. ქართული სიტყვის კულტურის საკონტექტო.

შაბუტა, გოგუცა...; კირკიტა, ლირდიტა და; გოგიტა, ხოსიტა, ბეჭი-  
ტა... სიშინა, შიშინა და; ბეკინა, გოგინა.. ტუტურა, ლიკლიკა (ლიკ-  
ლიკაძე გვარიცაა, მეტსახელისაგან მიღებული) და; ბერიკა...; ბუტ-  
ბუტა და ხახუტა და მრავალი სხვ.

როგორც ეხედავთ, საკუთარ სახელთა კალენისო-ქნინობითი სუ-  
ფიქსები იმიერ კომპლექსებს შეიყავს, რასაც — ა-დართული პირელადი  
მასდარები და —ია- დაბოლოებიანი (ფაქტობრივ, ისევ ა-დართული)  
ზომლეობებიც. ეს კომპლექსებია: -ან, -ინ, -უნ; -ალ, -ილ, -ულ; -აკ,  
-იკ, -უკ; -იტ, -უტ; -იჩ, -უჩ... და, თუმცა დღეს მათ სრულიად  
სხვადასხვა სისტემაში განვიხილავთ კომპონენტების დონეზე, მთლიანი  
მოდელების თვალსაზრისით და აერთოთ ექსპრესიული ფუნქციის  
თვალსაზრისითაც ისინი უთუოდ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია  
განსახილველი.

უფრო მოხსაც შეიძლება წავიდეთ ოვრით ევე ან ეევე, ე. ი.  
ცალხმოვნილი ატრუტურის მქონე სიტუებში, რომელთაგან განსა-  
კუთრებათ გამოირჩება ფაუნის (ფრინველების, ცხოველების, მწერე-  
ბის) აღმნიშვნელი სახელები, შემთხვევითად ვერ შევიჩნევთ ამავე  
კომპლექსებს აუსლაუგრში (მაგ.: ჩიტი, ბატი, კატი... ჰუკი, ბზიე...).  
ღლიარებულს ვამბობთ ხმაბაძეზე აგებულ რედუპლიცირებულ სიტ-  
უებზე, როგორიცაა: წრუწუნა, ჭრიჭინა, თრითინა, ღერღეტი, ბი-  
კეა და ნისთ, რომელთაგან ზოგიერთი ნამდვილ ტერმინია ქცეუ-  
ლი (ე. ი. სალიტურატურო ნორმა), ზოგიც დიალექტურ ერთოულად  
დასტურდება (ბჟათი, ღვრღეტი).

ამავე კონტრექსტშია განსახილველი (ისეთსივე კავშირშია) ცხოველ-  
თა და ფრინველთა ხმიანბის ან მათი მოხმობის გამომხატველი  
კომპლექსებისაგან ნაწარმოები მოფერებითი, საალერსო სახელები  
ცხოველებისა ან ფორმები ზოონამებისა, რომელთა ნაწილი საბავშვო  
ლექსიის (ე. წ. „გაფენების ენას“) წარმოადგენს, ნაწილიც ტერმინე-  
ბად არის დამკვიდრებული (წიწილა, ჩოჩორი). შდრ. აგრეთვე  
საბავშვო ლექსიია: ამუნია (<ამ!), ფისუნია (<ფისო!), ჯუჭულა/ჭუ-  
ჭული (<ჭუ-ჭუ!), ღრუტუნა (<ღრუტ-ღრუტ!), ჭუკი (<ჭეკ-ჭუკ!),  
წიწილა (<წიპა-წიპა!). შდრ. ანალოგიურად ნაწარმოები ფუჩინა  
(<თფუჩი, თფუჩი! — იხ. კ. გამსახურდის „დიდოსტატის მარჯვენა“),  
ჩეკინა/ჩოჩორი (<ჩოშ!) და სხვ. ამ სიტუებშიც — როგორც ფუ-  
ძეებში, ისე დამოლოებებში — ვიწრო ხმოვნები ჭარბობს.

ზემოთ განხილულ წარმოებასთან დაკავშირებით უმდიდრეს მა-  
სალის იძლევა ჩ. ინანიშვილის მოთხრობები (განსაკუთრებით, სოფ-  
ლის ციკლისა), რომელიც უკვე არსებული ნაწარმოები სიტუა-  
ბიდან ფუძისეული კომპლექსების გამოყოფით აკუსტიკური ეფექტე-

ბი უფრო წმინდა, ასე ვთქვათ, პირველქმნილი სახითაა წარმოდგენილი, და ეს ხერხი უთუოდ მშერლის სტილის ერთ-ერთ სახიერ კომ-პონენტად უნდა მივიჩნიოთ. ნიმუშები:

...მაღისინა დიდი, ჩახახა გარსკვლავი ანთია და ისინილა კრუტუნებენ: — კრუ, კრუ, კრუ! (გოგოა, რომელსც დამეტ შეუგვიარდა"). ზოგი კაფალი ვეღარ მჰამთმებს, ისკუპებს და — ტყაც! — ძარს.., ბალიებში რომ დაეკრავ, — ხრი! — წამოვლენ უფელ-ხიიღილით მიწისუნ ("ზამთრისპირის ზინდა"). ციყვრა... დაკუპ-დება უკათა დეხებზე და — ფატ! ფატ! — უფავრდება ჩიტებს (იქვე). სკინნია ჩიტები ღობებზე სხედინ და ნიღვლასანდ იძახიან: — სკინნი სკინნი ("ბეგა"). ჭირაგურების ჭირებები... თოვფებს, ჩიუსაფრდებინ ჯიხებს და — ბაბი ბაბი ("უშიშა ბაბის ამბავი"). სძინავს შოთ ბაბისაც... უუ-უუ-უუ! უშეინეს არაერთად ("შოთ პაპის და მასი ახევრის ამბავი"). შეხერგა პატარი ჩივინა, ვადატრიალ-დება პატარი და — პაპ! — ისევ კახტად ფახს თოვივე ფეხებზე (იქვე). შოთ პაპა და ძმისი სხედარი კი ისევ ნელ-ნელა, აუჩქარებლად განაგრძობდებრნ გზას: — პა-პუ! პა-პუ! (იქვე). მიღის და გრლი — დაგ-დუგ! დაგ-დუგ! (აზამთრის ზღა-პარი). — მოვდეგარ და უცებ — ლაშ! ... რაღავა დამეცა (სამცი). უკვალებ თოვლში — შლაპ-შლუპ, შლაპ-შლუპ — მიღდივარ და მიღბუქებ ("დუმალი გზა-ში"). ნაღლასანი ჭორი ზის და... თოვლის ჭირებს: — ჭუშტ! ჭუშტ! ჭუშტ! (იქვე). ნელ-ნელა ჭირები და — ტყაც! — გაბასა ("საუკირული ამბავი ტყეში"). ჩვენი მკვლეინი ისევ დატრიალდა და ტყაც-ტყუშ, ტყაც-ტყუშ — მირჩინა შაშველი უ-ხებით სკმთა. ხრიგ-ხრიგ-ხრიგ — ახრიგინდა სკაში (მეცელის პირველი გმი-რული საქმე)?.

რაც შეეხება წმინდა ჩმაბიძითს მასდარებსა და მათგან ნაწილ-მოებ უმნებს, მ მხრივ ნემდევილ ქრესტომათის წარმოადგენს რ. ინა-ნიშვილისავე მოთხრობა „წვემა, მერე ისევ მზე“.

რემდენადაც ხმაბიძვა და კნინობით-საცლერსო სიტუაციის წარ-მოების კავშირი ასე ხელშესახებია, მშერლის სტილის ზემოაღნიშნული თვეისგანურებია თოთქმის აუცილებლობით გულისხმობს ამ დერივაციულ საშუალებათა სისტემატურ გამოყენებასაც. მართლაც, ამ მარივ არაჩქეულებრივად მდიდარია უკაე ხელშებული მოთხრობები. მაგ.: ტვლებიები, ბობლინები (ასე უწოდებს მონადირ დათვები), ყრუჩეჩა! (ბებია პაპას), ბობლია (კაცის სახელია), მელია-ენაწელია, ციცულნა-ბიცუნა; ქათმების სახელები: ბაჯუჭა, ცანცარა (გარდა უკაე ცნობილი ქოჩორა, ნაცარა, ლაბუა-სი), კუჭნა (ბონილის სა-ხელია, მოთხრობაში ახსნილია: კუჭყიანსა ჰვედიო) და მისთ.

ასევე შორის წაგვიანვანდა ანთროპონიმების ქართული ფორმების არაჩქეულებრივად მდიდარი წარმოება გოორგი ლეონიძის პროჩაში, რაც არაერთგზის აღნიშნულია სამეცნიერო ნიშრომებსა თუ პოპულარულ ნარკვეცებში,

<sup>7</sup> მაგავის მაგალითები სხვა წერტილებთანაც შეიძლება შეგვხვდეს (მაგ.: გუ-გუ-უ-უ! გუგუნებენ თელები, — ა. კალინდაძე), მაგრამ მათვეის ეს სტილური ხერხი ესოდეს დამახსითებელი ის არა.

რ. ინანიშვილის მაგალითები ასე უხვად იმიტომ მოეიხმეთ, რომ ჩვენ მიერ ზემოაღნაშენული მციდონ კავშირი სხვადასხვა მორფოლოგიურ-სემანტიკურ ოდენობას შორის კლასიკურად (და მაქსიმალურად) არის -ლუსტრირებული სწორედ ამ მწერლის ნაწერებში. და თუ მკითხველს არ ტოვებს წმობლიურობის განცდა მათი კითხვისას, ამაში უთულ დიდი (თუ არ გადამწევეტი) წილი ბერძნერის თვალსაჩრისათ კერძოდ მდგარ ლექსიკას უდევს.

აღნათ, მევგარი ბერძნერის „წელობაცაა“ ანა კილანდაძის პეტრი შედარებით უცნობი მიკროტოპონიმებისა და ფიტონიმების მშობლიურად გარცდა ქართველი მკითხველის მიერ. ეს სახელების გამჯამას მთა, ჭითაცის ჭალა... ვარდაჭავა, ბორბოლიშეები...

ყუსტიკური ეფექტის შექმნაში საქმოდ მნიშვნელოვანი ჩანს სიბირულების, განსაკუთრებით, აჯრიყატების როლი. ეს შეპირობებული უნდა იყოს მათთ ხმიანობის გავრცელების უნარით (ხისინი, ზურნი, ზიშინი, ზიშინი, ჩიჩინი, ჩუჩუნი, ჩურჩული,...). ამ მხრივ თითქმის უნიკალურია -იალ-დაბოლოებიანი მოდელის მასდარებში თითქმის უცილესელი რ სონორი, რომელიც ვიბრაციის ეფექტს იწევს. ესენია: რიალი, ზრიალი, სრიალი, შრიალი, გრიალი, ხრიალი, დრიალი, წრიალი, ჭრიალი.. ფ. ერთეულიშვილი ამ ტაპის მასდარებსაც რედუცტივაციის შედეგად თვლის: მეზობელი ი და ა ხმოვნები შესაბამისად პირველი და მცორე სეგმენტების ხმოვნებად არის მიჩნეული<sup>8</sup>.

სხვა შემთხვევებისაგან გაისხვავებით, ხალაც თანხმოვანთა შერყობა დამაგრებლდება ახსნილი, -იალ-დაბოლოებიან მასდარებში თანხმოვნების დაკარგვა ნაგლებ დამაჯერებელდა და დამატებითს ახსნას საჭიროებს. და, თუ არა ანალიგია, მეტად (და მათ უფრო) გაჭირდებოდა არისონობანი ერთეულების ამავე გზით ახსნა. ესენია: კიაფი, წილკი, წიავი, ზავი, კრიახი (ეს უკინასენელი კრუბ-თან უზრა მადიოდეს, ან — პირიქით — მისგან მოღიოდეს: მიშართულების ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს).

სხვა რომ არაფერი, თვით რ-ს შემცველ ჰასდარებში უმძრტიცესი რიალი ფორმა ლოგოკურად უნდა გამორიცხავდეს ნაყარი ფუძეების არსებობას. მაგრამ, კიდევ რომ ჩაგვეთვალი -იალ კომპლექსი წარმოშობით რედუცტივორებული ფუძის ნაშთიდ და არა სუფიქსიდ, სინქრონიაში მზა მოდელების გამოყოფას ეს ხელს არ შეუშლის (და ამას თვით ფ. ერთეულაშვილიც აღნიშნავს, როცა წერს, რომ -იალ ამეამად სუფიქსად აღიქმებაომ). მეტაც, არათუ დაბოლოება -იალ-ი,

<sup>8</sup> ფ. ურთელიშვილი, ზმრური ფუძეების..., გვ. 217.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 222.

არამედ მთელი სიტყვა რიაზ-ი (გარდა, აღმარ, იალ-კიალ-ისა და ციალ-ისა) გამოდის ამ მოღელის მასდართა მუჟცილებულ კომპონენტად და რად მცირებული მას — ფუძედ თუ სიგრძეში მის „ვადამა-გარბებელ“ სუფიქსიდ, ინტერპრეტაციის საქმეა: სემანტიკურ სპე-ციფიკების იგი არსებოთად არ ცელის.

ის ფაქტი, რომ რ სონორია, საქმიანისი არ არა ზემოჩამოთვლი-ლი შემთხვევების ასახსნელად. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ იყო ვიბრანტია და, მდენად, ხელს უწყობს მოძრაობის უწყვეტობის, წრიული მოძრაობის გადმოცემას.

ამიტომ შემთხვევებითი არ უხდა იყოს, რომ ეს ბევრა ხშირად მონაწილეობს მდინარეთა საკელებში (საგულისხმოა თვით სიტყვა შლინარის ეტიმლოგია!), და სპეციფიკური პირობინიშული სუფიქსიც (-ურა) სწორედ მას ეყრდნობა.

რ ბევრის ვიბრაორების უნარი კრებად ჩამს ქრონულ პოეზიაშე. ვინაც უკორებით ეს ითქმის ვ ტაბიის შესხებ, რომლის ბგერწერაში დიდი ადგილი უჭირავს ქარის ქროლების მუსიკას. გავიხსენოთ თუნდაც ლექსები „ქარი ჰქერის“ ან „ლურჯი ცხენები“. ამ უკანასკნელის შინა-განი და გარეგნი რითმები — ლექსის სატრდენი ერთეულები — რა მონაწილეობით არიან ნიშანდებული (ნემქერი, ნაფერი, ნაპირი, შე-ნაპირი; ერაფერი, მიუსაფარი; მხარეში, გარეშე, თარეში, საბარეში; უხარის, არ არის, სიჩიარია, სამარეა... ანდა: „მხოლოდ შექმა კამარა ვერაფერმა დაფარა, მშრალ რ-ცხენების ამარა უდაბნოში ლელდება...“). იქნებ ამიტომვე, რომ ლექსის დამძიმერებელ აკორდში წრიული, უმიზნო, ფატალური და სასორისკვეთოლი მოძრაობის სემანტიკა სწორედ რ ვიბრანტის შემცველი სიტყვები ითავსებს და უმეტესობა სწორედ საანალიზ მასდარებითაა გამოხატული. ყველა ეს ხერხი ერთობლევად, ერთმანეთის ვერდით, მაპიპნოსებელ და დამარც-ტროებელ ბევრით ცვლექტს წარმოშობს:

როგორც ზოვის ცეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
ჩქარა გრგვინვა-გრაალით ჰქრიან ლურჯი ცხენები.

ახალოგორური მუსიკალური ეფექტის მქონეა რ ბევრის დაინ-ბრული ვამეორებს ს. ჩიქოვანის ლექსების ცავლის „ორქესტრიულ ლექსალობის“ ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „ერბორია“, რომელ-შიც ცხენების ქროლები არასეულებრივი ბევრწერითაა გადმოცე-მული:

ფაფარი, ფუნქირი, ფარდული, ორველი ცაენების,  
ვაფრინდი, ერანო, მეტველი შორიდან მიხდონს და ნალიებს...

სხვაგან („ცირა“-ში) რ ბევრის ვიბრირებით ფრინველთა ფრენაა გაღმოცემული:

გადაფრინდენ, გადმოფრინდენ ურინველები უბისადრო...

უბისადრო, უქარიდრო, ძრბაიდეშ ციხადგამი 10.

\*  
\* \*

ჩვენ აქ ძირითადად შევეხეთ კ. წ. პირველადი მცდარებით გამოხატულ ხმიბაძეითს ლექსიკს — როგორც საალერგი-კინობით სახელებთან, ისე — თა წარმოების ნიმუშობებთან კავშირში, ივრეოვე ფრინველთა და კონველთა ხმიანობისა თუ მათი მოხმობის საფუძველზე წარმოქმნილ სიტყვებთან კავშირში.

ანალოგიური მაჯულობა სხვა ერთეულებზედაც წეიძღვებოდა გავევრულებინა. კერძოდ, მცგანინა, რომ ეგმოს ან სხვა ნიშნით მარკირებული, არანეიტრალური სემანტიკის სიხელთა შორის ამავე რიგისაა: წიწაკა, წიწამატი, პილაიდი, კინჭარი, ქინაქინა, სამსალა... ანალოგიური აბსტრაქტული სახელებია: სუსეი, ზიზლი, ზხამი... გვისენოთ ერთგვარი ავტობულების ზედასართვებიც, რომლებიც სიცხარე-სიმეავეს აღნიშნავენ: მწარე, მმაღე, მლაშე, მჟავე, ცხარე (ჩელ-სართავი ცხელიც ამ უკანასკნელის ფუძეს უნდა იზიარებდეს). შემდეგ, ერთი შპრივ, სიბილანტების მონიშვნლეობით ბილებული და, მეორე მხრივ, ჩემელების შემცველი, სტრუქტურული დაბირისპირებული ზედასართვები (ტკბილი, აგრეთვე თბილი...). საინტერესოა ივრეოვე რეცლებლაციორებული ზედასართვები ჩერჩეტი, ცერცეტი და მისთ, რომლებიც უმიზნო და უახრით მოქმედებასთანაა დაკავშირებული, რასაც მათგან ნიწარმოები ზმნები ნათლად აღლენს: მიჩრჩეტობს (=სულელურად, უაზროვ მიღის), დაცერცეტობს და ა. შ. (ზდრ. გამოთქმა: დამჭდარი ჭყუის პატრონია. ე. ი. ოპოზიცია მოძრაობა-უძ-

10 ამისთან დაკავშირებით არ გავვასენდეს მოპასინის ნოველა „შაროკა“, რომელსაც ლიტერატურიდან გასხვების სამჩრეფელი, კერძოდ, ცერიკელი მეტოსნიერი ქალის მიტუველებაში რ ბეგრძის მევარი განსაკუთრ მიღებული შობეჭდალები მიზრობლისა. ამ, რამდენიმე ნიუში: „კოველი ასო „რ“ მას პირველი ეტოლის გრალი გასხვიდა. მართა ერქა... მ სახელს ისე ამობდა, თითქოს ერთი თეურმეტი „რ“ მანც რეულიკ ჰეგ; სიტყვა „სახსოვარის“ „რ“ დიდხანს გადგრეული, ისე, თათქმა კლავზე წაკადული ჩამოიდის შეუიღ-შეუიღით; და კოველი „რ“, რაც სიტყვებში ერთა, ისე იყო ვამოთქმეული მას მაერ, ვეგონებოდათ, ჩეკეულებრივი ჯეხოლის სხაოს; სიტყვა „მეყვარები“ ისე გაისხი, თითქოს შეტყებულები გადასვლის დალაბარდი დაუკრძალა; გაჯლისებულმა ქალია თავისი „რ“-ნარეკი შეგირ-მგარი სიტყვის დაყირია [იგულისმება: უდროიდ დაბრუნებულ ქმარს].

ურაგმენტებს ეძმოშეებთ მოპასინის ნოველების კრებულის „სიყვარულის“ თ. სახუკისეული თარგმანის მიხედვით (1962 წ.).

რაობის ნიშნითა პირობიდებული). სავარაუდებელია, რომ ამ მხრივ  
ანტონიმების სტრუქტურების შეპირისპირებითი ანალიზი უთუოდ  
პერსპექტიული იქნება.

\*  
\* \*

დასასრულ, უნდა შევეხოთ ნორმის სავარს, რომელიც ისმის  
შერველიდი მასდარებისაგან ნაწარმოებ ზმნებში თემატური -ებ და  
-ობ სუფიქსების ხმარებისთვის დაკავშირებით. შეინიშნება გარკვეული  
განონშომიერება მათს განაწილებაში ზმნის სტრუქტურის მიხედვით:

1. ფუძისეული ხმოვნის კამეორების (ა — ა, ი — ი, უ — უ)  
ზმნის ფუძეს აწარმოებს -ებ ოშის ნიშანი:

ბაბანებს, ფართხსლებს; სასინებს, ჩლიფინებს; გუგუსებს, გრუ-  
ტუნებს...

2. შეტეულხმოვნიანი ზმნური ფუძეების თემას -ობ სუფიქსი  
აწარმოებს:

ბრახუნობს, რაფუნობს, ფთურობს...

3. იყვევ ითქმის „-ია+თანხმოვანი“ მოდელის მასდარისაგან  
ზმნის წარმოების შესახებ, როგა თანხმოვანი სონორი არ არის:

კაფუობს, წილკობს, კრიახობს...

4. -იალ-ელემუნტიანი მასდარისაგან ნაწარმოებ ზმნებში:

ა) ჟხმოვნოფუძიანი ზმნები -ებ სუფიქსს ღაირთავს:

სრიალებს, ტრიალებს, ჭრიალებს...

ბ) ხმოვნიანფუძიანი ან ზენისწინდართული ფორმები -ობ სუ-  
ფიქსს დაირთავს:

ბოდიალობს, ხეტიალობს...; დაბორიალობს, დაყიალობს...

გამონეკლის წარმოადგენს ა — ა თანამდევრობისა და ნ-ზე  
ფუძეგათავებული მასდარებისაგან ნაწარმოები ზმნები, რომელებიც  
არც ერთ სუფიქსს არ ღაირთავენ. ეს მასდარებია: ტყაპანი, ბრაგვანი,  
ბრახვანი და სხვ. საკომპეტისაცოდ ეს მასდარები სპეციფიკურ ზმნებ-  
თან შეხამებაში ქმნიან ფრაზეოლოგიზმებს: ბრაგვანი (ბრახვანი, ტყა-  
პანი...) მოაღინა (გაადინა, გასვრა). უსრული ასცექტის ფორმები  
(აწმყო, ნაძყო უსრული) ამ ზმნებს აკლია.